

**ხელშეკრულება #**

ქ. თბილისი \_\_\_\_\_ 2021 წელი

კომპანია შპს „ფოლინკნეტ“ (საიდ. კოდი 402117213)

აბონენტი – \_\_\_\_\_ პირადი # \_\_\_\_\_,

მცხ. \_\_\_\_\_ (წინამდებარე ხელშეკრულების

საფუძველზე აბონენტს ენიჭება აბონენტის ნომერი \_\_\_\_\_)

**თანხმდებიან შემდეგზე:**

• **ხელშეკრულების საგანი**

• წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, კომპანია აბონენტს უწევს ინტერნეტ მომსახურებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების და ტარიფების შესაბამისად.

• **მომსახურების სახეობა, ღირებულება და ანგარიშსწორების წესი**

• გაწეული ინტერნეტ მომსახურების ყოველთვიური საფასური მზ/წმ-ების მიხედვით სტანდარტულად განისაზღვრება შემდეგნაირად: \_\_\_\_\_ მზ/წმ \_\_\_\_\_ ლარის ოდენობით,

• კომპანია, ხელშეკრულების მიზნებისთვის, აბონენტს დროებით სარგებლობაში გადასცემს:

• ონუ -----

**კაბელს ----- მეტრს.**

• **ხოლო საკუთრებაში გადასცემს:** 1. როუტერი -----  
----- 2.4 აბონენტი რეგისტრაციისა და ქსელში ჩართვისთვის, ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ორი სამუშაო დღის ვადაში გადაიხადოს საინსტალაციო სამუშაოების ერთჯერადი გადასახადი -----  
----- ლარის ოდენობით და პირველი თვის სააბონენტო გადასახადი სრულ/არასრულ კალენდარულ თვეზე გაანგარიშებით ----- ლარი; (ერთი დღის სააბონენტო გადასახადი გადაიანგარიშება 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეზე).

2.5 აბონენტი ვალდებულია ყოველთვიური სააბონენტო გადასახადი გადაიხადოს წინასწარ;

• გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ კომპანიის საბანკო ანგარიშზე;

• წინამდებარე ხელშეკრულება ამოქმედდეს \_\_\_\_\_ რიცხვიდან.

• **მხარეთა უფლებები და ვალდებულებები**

· **აბონენტივალდებულია/აცხადებსთანხმობას:**

3.1.1 სრულად და დადგენილ ვადაში გადაიხადოს ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება;

3.1.2 ხელი შეუწყოს კომპანიის მიერ, ინტერნეტ მომსახურების მისაწოდებლად აუცილებელი საინსტალაციო სამუშაოების შესრულებას. ამ ვალდებულების დარღვევით საინსტალაციო სამუშაოების შეუსრულებლობის/შეფერხებისას, კომპანია სრულად თავისუფლდება შეუსრულებლობით/შეფერხებით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან;

3.1.3 მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის გამოიყენოს გაწეული მომსახურება და არ დაუშვას კომპანიისგან მიღებული ინტერნეტ მომსახურების შემდგომი მიყიდვა/გადაცემა სხვა ნებისმიერ მესამე პირზე, კომპანიის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია კომპანიას გადაუხადოს ამით მიყენებული ზიანი;

3.1.4 აბონენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია საჭიროებისას გამოყენებულ იქნას კომპანიის მიერ რეკლამის მისაწოდებლად ან/და სხვა კანონიერი მიზნებისთვის.

3.1.5 არ შეუშალოს/შეუწყოს ხელი კომპანიის 3.4.3 პუნქტით გათვალისწინებული უფლების განხორციელებას;

3.1.6 აბონენტი ვალდებულია ინტერნეტმიწოდების შეჩერებიდან 1 თვეზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ, გადაიხადოს ხელახალი აქტივაციის თანხა 10 ლარი.

**3.1.7 აბონენტი ვალდებულია თუ 2.2 პუნქტში მითითებულია აპარატურა, რომელსაც კომპანია გადასცემს დროებით სარგებლობაში აბონენტს, დაზიანების შემთხვევაში ან არ დაზარუნების შემთხვევაში აუნაზღაუროს კომპანიას დაზიანებული ან არ დაზარუნებული აპარატურის ღირებულება. (მიმდინარე საბაზრო ღირებულებით). წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია უფლებას იტოვებს მიმართოს სასამართლოს და აღსრულების ეროვნულ ბიუროს. აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურება ეკისრება აბონენტს.**

3.1.8 აბონენტი ვალდებულია ბალანსზე თანხის ამოწურვის შემთხვევაში, ყოველ გადაცილებულ დღეზე 10 დღის განმავლობაში გადაიხადოს 0.50 ლარი.

3.1.9 აბონენტი ვალდებულია გამოძახების შემთხვევაში გადაიხადოს გაწეული მომსახურების ღირებულება კომპანიის საბანკო ანგარიშზე (კომპანიის მიერ აბონენტისათვის მინიჭებულ აბონენტის ნომერზე)

**3.2 აბონენტი უფლებამოსილია:**

3.2.1 აირჩიოს მისთვის სასურველი პაკეტი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

3.2.2 შეატყობინოს კომპანიას მომსახურების მიწოდებისას გამოვლენილი დაზიანების შესახებ;

3.2.3 კომპანიისთვის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, წელიწადში ერთხელ დროებით შეაჩეროს ინტერნეტ მომსახურების მიღება 30 (ოცდაათი) დღემდე ვადით; ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში, თუ აბონენტს ბალანსზე უფიქსირდება დადებითი ნაშთი, ინტერნეტ მომსახურების მიწოდება განუახლდება ავტომატურად, ხოლო თუ ბალანსზე თანხა ამოწურულია აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს სერვისის შენარჩუნების საფასური ყოველ გადაცილებულ დღეზე 0.50 ლარის ოდენობით, 10 დღის განმავლობაში;

3.3 კომპანია ვალდებულია:

3.3.1 აბონენტს მიაწოდოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების შესაბამისად;

3.3.2 წინამდებარე ხელშეკრულებით და კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში აღმოფხვრას მომსახურების მიწოდებისას გამოვლენილი და აბონენტის მიერ შეტყობინებული დაზიანების შესახებ;

#### **3.4 კომპანია უფლებამოსილია:**

3.4.1 აბონენტის მიერ კომპანიისთვის გადასახდელი ნებისმიერი თანხის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, დავალიანების დაფარვამდე შეუზღუდოს ან/და შეუწყვიტოს აბონენტს ინტერნეტ მომსახურების მიწოდება ხელშეკრულების ან/და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად;

3.4.2 ქსელის სრულყოფასა და განვითარებასთან დაკავშირებით დროებით გათიშოს ქსელი, აბონენტის წინასწარი შეტყობინების საფუძველზე;

#### **3.4.3 ხელშეკრულების ვადის გასვლისას/შეწყვეტისას ერთი კვირის ვადაში დაიბრუნოს 2.2. პუნქტში მითითებული ტექნიკა.**

##### **• სხვა პირობები**

4.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის/არაჯეროვანი შესრულებისთვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისგან, თუ შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით/გარემოებებით, რომელთა დადგომისას/არსებობისას მხარე მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოკლებული იყო შესაძლებლობას ჯეროვნად შეესრულებინა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

4.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მეორე მხარისგან მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

4.3 წინამდებარე ხელშეკრულება ძალში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ერთი წლის ვადით. ყოველი ვადის გასვლისას ხელშეკრულების მოქმედების ვადა ავტომატურად გრძელდება კიდევ ერთი წლით თუ ვადის გასვლამდე ერთი თვით ადრე რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს უარს ხელშეკრულების ვადის გაგძელებაზე;

4.4 წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე შემდეგ შემთხვევებში:

4.4.1 აბონენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევისას;

4.4.2 ცალმხრივად, მეორე მხარისთვის შეწყვეტამდე 10 დღით ადრე გადაცემული შეტყობინების გზით;

4.5 კომპანია არ არის პასუხისმგებელი:

4.5.1 აბონენტის მიერ ქსელში გადაცემული ინფორმაციის შინაარსზე;

4.5.2 მომსახურების ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია აბონენტის ლოკალური ქსელის გაუმართაობით.

4.6 კომპანია უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ცალმხრივად შეცვალოს მომსახურების ტარიფები, აბონენტისთვის 10 დღით ადრე გადაცემული შეტყობინების გზით;

4.7 ხელშეკრულების რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას;

4.8 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.